

საქსი

საუკუნის
პირველი
ნომერი 2001

ISSN 0132-6015



სატირისა და იუმორის ჟურნალი
„ნიანგის“ წაკითხვა სასარგებლოა თქვენი ჯანმრთელობისათვის



ნან. მ. აბაშვილის

136
2001

მინისტრი

აი, ძმაო კაცი - თავისი ნებით მიატოვა
მინისტრის თანამდებობა!

საქსის მენეჯერი
საქსის მენეჯერი
15578982

პოლიტმუზიკა



მენტალიტეტი

ზოგ-ზოგებს ეს სიტყვა არ მოსწონს, ესაო-და, უცხოურიად, გაპრანჭულიად.

... შუშუ კაი ადამიანო, თუკი იმპორტულ ტანისამოსში გამოპრანჭულხარ და იმათ პროდუქტებს ყოველდღიურად ნთქავ, სიტყვამ რაღა დაგიშავა?

მე, მაგალითად, ძალიანაც მომწონს: მენტალიტეტი! ეს სიტყვა ჩემში იწვევს ძალისა და თანამედროვე სიმაღლის ასოციაციას. საქმე ისაა, რომ ბევრმა ვერ შესძლო ახლებური მენტალიტეტის დონეზე ასვლა და ძველი სტანდარტებით აზროვნებს, ვერ გაითავისეს, რომ ახალ საზოგადოებას, ახალ სახელმწიფოს ვაშენებთ, ვამკვიდრებთ დამოუკიდებლობას, თავისუფლებას, დემოკრატიას, ცხოვრებისეულ წინსვლა-კეთილდღეობას. ნეტავ სადაა დამოუკიდებლობაო, გაიძახის ზოგ-ზოგი და ირონიულად ქირქილებს.

როგორ თუ სად არის? ჩამოვითვლით: უკანასკნელ ათ წელიწადში საქართველო დამოუკიდებელი გახდა სამხრეთ ოსეთისაგან, აფხაზეთისაგან, აჭარისაგან, მნიშვნელოვანწილად -მესხეთ-ჯავახეთისაგან. ეს პროცესი გრძელდება: მალე, ალბათ, სხვა რეგიონებისაგანაც დამოუკიდებელი გავხდებით, პირველ რიგში, სამეგრელოსაგან, პანკისის ხეობისაგან, მთლიანად კახეთისაგან, ქვემო ქართლისა და იმერეთისაგან. ადვილი შესაძლებელია, გურიის გავლენასაც დავაღწიოთ თავი. ორად-ორი, რაზეც ჯერ-ჯერობით დამოკიდებულნი ვართ, ესაა: ამინდი და რუსეთის დერჟავის სპეცსამსახურები.

რაც შეეხება დამოუკიდებლობას პირად ცხოვრებაში: ყველას გახსოვთ, როგორ ვიყავით მიჯაჭვულები სამსახურს და ხელფასს, ჰონორარს, პრემიას, მეცამეტე ჯამაგირს და ა.შ. დღესდღეობით, ყოველივე ამას ბოლო მოედო. ცოტაა?

თავისუფლება სად არისო, მოთქვამს ზოგიერთი დაუნახავი. ერთ მაგალითს გეტყვით და საკმარისი იქნება: ხომ გახსოვთ, ადრე

რა ამბავი ატყდებოდა ხოლმე, მავანი შიმშილობას რომ გამოაცხადებდა - აქეთ პრესა, იქეთ-სამთავრობო დელეგაციები, სამედიცინო ბრიგადები ვინ გაშიშვლებდა შენს ნებაზე!

ახლა? ახლა ყველა თავისუფლად, შეუზღუდავად შიმშილობს. თუ დავაკვირდებით, დღევანდელი საქართველოს მოქალაქე თანდათან ეუფლება თავისუფლების უნივერსალურ დონეს: სამუშაო ადგილებისაგან, უძრავ-მოძრავი ქონებისაგან, სინდის-ნაშუსისაგან, პატრიოტიზმისაგან ...

კიდევ მეტი გინდათ? დემოკრატია ხომ პირდაპირ თვალშისაცემია: ვისაც როგორ და როდის გაუხარდება, ისე და მაშინ შეუძლია ლანძღოს პრეზიდენტი, მისი ოჯახი და სანათესაო, მოუწყოს სხვადასხვა ჟანრის ტერაქტი და ა.შ.

მიტინგი და დემონსტრაცია გინდა? კი, ბატონო, გაბრძნდი თბილისის ზღვასთან და იყვირე, რამდენიც გაგინარდებოდეს!

ახლა, რაც შეეხება სოციალურ მხარეს, ცხოვრების წინსვლას. ბრმა უნდა იყო, ფუნდამენტური ძვრები რომ არ შეამჩნიო. ნუთუ ვერ ხედავთ, რიგები რომ აღარაფერზე აღარაა?

სადღაა ის ნერვების მოშლელი რიგები ჟურნალ-გაზეთებზე, კინოსა და თეატრების საღაროებთან, შემნახველ საღაროებთან, მუზეუმებთან, ბიბლიოთეკებთან. ფეხბურთის ბილეთებზე ხომ პირდაპირ ნადირობა იყო. ახლა შენ ხარ ჩემი ბატონი, ოღონდ შედი სტადიონზე, მაღლობას ვეტყვიან.

ძველი მენტალიტეტის მქონე ყოველივე ამას ვერ ხედავს. არადა, დამოუკიდებლობას, თავისუფლებას და დემოკრატიას გაფრთხილება სჭირდება, გაფრთხილებას კი - ახალი მენტალიტეტი!

დემოკრატი.



მეფეთა ვალები

როგორც კი პარიზის ქუჩებში ჰენრი III გამოჩნდებოდა, მას მაშინვე მევალები და მევახშეები შემოეხვეოდნენ ხოლმე. ისინი არცხვედნენ მეფეს, უყვიროდნენ, მუშტებს უქნევდნენ და ემუქრებოდნენ. გაკოტრებული მეფე კი ღიმილით მიმართავდა ბრბოს: - ბატონებო! - გამოიჩინეთ გულმონყალება და კიდევ მასესხეთ ცოტაოდენი ფული.

საფრანგეთის მეფე კარლოს VII დაუფიქრებლად ფანტავდა ფულს ძვირფასი ქსოვილების, სხვადასხვა მორთულობებისა და ოქროს იარაღის შესაძენად. როდესაც მთელი საღარო გაანიავა, მეფემ მევახშეებთან დაიწყო სირბილი და არც თავისი



მზარეულებიდან ერიდებოდა წვრილ წვრილი თანხების სესხებას.

მთლიანად გაკოტრდა გერმანიის მეფე ფრიდრიხ II. იგი იძულებული გახდა სამეფო ტახტი დაეგირავებინა.

ყველას მაინც ინგლისის მეფემ, ედუარდ III გადააჭარბა. იგი იძულებული გახდა დაეგირავებინა ... საკუთარი თავი. ედუარდ III ცოტა ხნით

ცხოვრობდა ბრიუსელში, მაგრამ ისე გაეხვია ვალებში, რომ სპეციალური თხოვნით მიმართა პარლამენტს, სახელმწიფოს დაუყოვნებლივ დაეფარა მისი ვალები, წინააღმდეგ შემთხვევაში, განაცხადა მეფემ, ბრიუსელში დავბრუნდები და გიროდ დავრჩები ჩემს მევალებთანო.

ვალები შეჯამა ნანა ჯაჯანაშვილმა



მოახსენე სასამართლოს, რომელ ბანკში გაქვს ბიუჯეტიდან მოპარული დოლარები!
— შვეიცარიის ბანკში, შენს შემდეგ რომ ვიდექი რიგში, დაგავიწყდა?

გამოვსავლოვართა საყურადღებოდ!



ეროვნული

„ნიანგის“ რეკომენდაციები იმის შესახებაა, რომ ნიანგის ბაზარი ნალეკა სექსმა და ძალადობამ. ამასთან, კატასტროფულად იკლო კლასიკური ლიტერატურის გაყიდვა-გასაღებამ. მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, სულიერი დეგრადაციის თავიდან აცილების მიზნით, გთავაზობთ შემდეგს: კლასიკური ნაწარმოებები, მყიდველის მისატყუებლად, გამოვცეთ შეცვლილი სათაურებით.

მაგალითად:

1. „მგლის მუცლიდან ამოყვანილი“
— (შ. პერო - „ნითელქუდა“)
2. „ერთი შანდლის მოპარვისათვის“
კატორღა“ (ვ. ჰიუგო - „განკიცხულნი“)
3. „თამრო - ავლაბრის უნამუსო“
— (ი. ჭავჭავაძე - „გლახის ნაამბობი“)
4. „მშობელი დედის ქმარი“
— (სოფოკლე - „ოიდიპოს მეფე“)
5. „პორნოგრაფიული ნოველები“
— (ბოკაჩო - „დეკამერონი“)
6. „ჯერ გააბოზა, შემდეგ ცოლობა სთხოვა“
— (ლ. ტოლსტოი - „აღდგომა“)
7. „გაუპატიურება ურემზე“
— (მ. ჯავახიშვილი - „ჯაყოს ხიზნები“)

22061



ნახ. შ. ლევეჯასი.

როგორც კი შევიდა XXI საუკუნეში მაშინვე ბალახის ჭამა დაიწყო.

ბინდ დალიე. ბინდ-არა!

როცა ნიქმ ვაზი ჯარგო, მევიდა ეშმაკი და ვაზის ძირი შევარდენის სისხლით მორწყო; გამოისხა ყლორტები ვაზმა და ეშმაკმა ვაზის ძირს მაიმუნის სისხლი მოასხა. როცა ვაზი მტევნებით დაიხუნძლა — ლომის სისხლი დაასხურა, სიმწიფეში შესვლისთანავე ეშმაკმა ვაზს ღორის სისხლი მოუჭარჯვა.
აი, ამიტომაც არის, ღვინოს ოთხი თვისება რომ აქვს: თუ ზომიერად დალევე — შევარდენით ღალი გახდები, ზომასე მეტს დალევე, — მაიმუნით აცეტდები; გადააჭარბებ და ლომით მძაფრდები, ყველაფრის მიღევ-მოღევწვის სურვილი გებადება. უზომოდ გამტყვრალ-გაღეუმილი კაცი კი ტალახში ამოთხვრილ ღორს წააგავს.

სამძებრო-საგამოძიებო კლუბი „თვალა“



ქოჩორი

გახსოვს, იასამნის ტოტით
რა ლამაზად მელოდი,
ახლა ფიქრობ - რად გინდოდი
უფულო და მელოტი.
თუ გაქვს ფაცხა უენეგაში,
ან სასახლე კოჯორში,
დიაცები ამბორგყოფენ
არარსებულ ქოჩორში.
არა, არ ღირს საკამათოდ,
უნდა ითქვას მოჭრითა:
რა თქმა უნდა, კაცი ფასობს
ფულითა და ქოჩრითა.

ლ'ერიო

ნახ. მ. აბაშიძისა



განმარტავითი ლექსიკონი

გრაფომანი — გრაფების, დიდგვაროვანთა მოყვარული
შეგარდნამეები — მოქალაქეთა კავშირის წევრები.
(როგორც, მაგალითად "სუხიშვილები")

როგორ ვიცვლებით ადამიანები!

რა სატრაბახო ეს არის, ტრაბახად რომ ჩამომართვით, მაგრამ მაინც მორიდებით ვიტყვი: სხვისი სიხარული მიხარია და როცა სხვას ბედნიერს ვხედავ, მეც ბედნიერად ვგრძნობ ხოლმე თავს. ლექსოს დიდი ხანია ვიცნობ. ვმეგობრობთ კიდევ. მისმა ვაჟმა სპორტლოტოში დიდი თანხა რომ მოიგო, მეც გავიხარე; ზედიზედ სამი შვილიშვილი რომ შეეძინა (სულ ბიჭები), ლექსოსავით მეც მეცხრე ცაზე დაფურინავდი; ლექსების კრებული რომ გამოსცა, ერთი კვირის განმავლობაში ღიმილი არ მომშორებია. მერე აირია მონასტერი და... — ხომ დაანგრეეს რუსთაველი? — პრეზიდენტყოფილის გაქცევის შემდეგ იქედნური ღიმილით მეკითხება ლექსო. — აშენონ ახლა ხელახლა! საუკუნეს მოუნდებიან! ხი-ხი-ხი... არ გამცინებია. — ესეც ასე, სოხუმი დაეცა, გალიც აფხაზებს დარჩათ! ხომ ვამბობდი! — ხალისიანად იღიმება ლექსო, რაკი წინასწარმეტყველება აუხდა. არ გამღიმებია. — ხომ ვთქვი, კუბონი გაუფასურდება-მეთქი, — ხითხითებს ლექსო, როცა კუბონისა და რუბლის შეფარდება ასს

ასცდა. — ჯერ სადა ხარ! არ მიხითხითია. — ხომ ვთქვი, ხელფასებს მოგვიმატებენ თუ არა, შაქარი და კარაქი გაძვირდება-მეთქი! — თვალები უბრწყინავს ლექსოს. — ნახე ერთი, რა ამბავია ბაზარში! არ მიხარხარია. — აკი ვამბობდი, ლარი შემოვა თუ არა, ყველაფერზე ფასები აიწვევს-მეთქი! ხომ აიწვია! — სახე გაცისკროვნებია ლექსოს. რატომღაც არც ახლა ვიგრძენი სიხარული. — ნახავ აგერ, ლარსაც კუბონის ბედი ეწვევს! — უბედნიერესი კაცის ღიმილით ხელებს იფშვინებს ლექსო. — ჯერ სადა ხარ, ეს ფურნალია, კინო მერე იქნება! ხი-ხი-ხი... საქართველო ისეთ დღეში ჩავარდება, ჩეჩნეთი მოგენატრება!... ვა-ხა-ხა-ხა! რა ვქნა, მომკალით და ვეღარ ვიზიარებ ლექსოს სიხარულს!


როგორ ვიცვლებით ადამიანები!
ზადენ ზედანი



ნახ. მ. აბაშიძისა


— იბოლიტე! თუ გადმოხტომას აპირებ, მაცადე, გავივლი და მერე!

სამხარული პირდაპირი ჩართვა




ფოთის მტრულის გოდება

ჩვენგან თქვენ რა გესწავლებათ, ყველამ იცით ფოთის პორტი, იქვე წისქვილკომბინატი, მარცვლოვანი ყველა „სორტის“. ჩატვირთვა და გადმოტვირთვა გვალოდებდა ყველა ფრთოსანს: მტრედს, თოლიას, ალბატროსებს, ყვავ-ყვანჩაღას და შაშვი-მგოსანს. არ ვეარგავდით სულ მცირედსაც იმ დიდებულ ხორბლის მარცვალს, მერმე, როცა ავირეთ, ხელი მიჰყვებს ქვეყნის მარცვას, შებო ზიდეს ქატო-ფქვილი იმ მშენიერ ხორბლის ხაცვალად, ქატოდან პურს ვერ დააცხობ თუნდაც ასჯერ წმინდად გაცრა. იაფ ფქვილზე ატყდა ბუმი, ვაი, წისქვილკომბინატი, იმ ქართული პურის გემოს ჩვენ კი არა, ვინ არ ხატრობს. ქართულ ფქვილზე დღეღევე ძეგს, არხანულოდ დიდი რაოა, მაფანთ გამდიდრების ხარჯზე ჯანმრთელობა გვეზარალო. იმპორტულ ფქვილს მტრედს არ ჭამს მენიუდან გამოთიშა, შეგვიბრალოთ, ჩქიმი ჯიშა, ველარ ვფრინავთ იქ, ფოთიშა.




მოისმინა და ჩაიწერა ანზორ ბარამიძე

/სამეგრელოს ზონის კორესპონდენტი/



ნახ. ლ. ფარეშუბლისა

„ლინია“ მინდა ვიყილო მარშრუტკისთვის!
— ერთი „ლინიადა“ დამრჩა თბილისში, აგერ I სადარბაზოდან VIII სადარბაზომდე.



ნახ. ვ. კუციასი

ბავშვებო!
— ვიწყებთ მკებნარების შესწავლას, მომავლეთ ერთი ტილი და ორი რწყილი


თავშესაქმეში გაზეთის „კერძი“

მე-19 საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში გამოდიოდა იუმორისტული გაზეთი — „რეგალკოტიდენი“. რომელიც შეიძლება წაეკითხათ... და შეეჭამათ სარეკლამო გაზეთი თავლაკვერზე იყო დაბეჭდილი.

ნახა

აღმოაჩინა შეხლოვა

ვაცი ვარ და კუდი მხურავს
აძილევსის ძვისლი
მაშალოტარული დეაუტატი
სურამის ცხენი
რაც ბინაყავს, ვეღარ ნაყავ
შოთი რუსთაველი
ვერის უზნის ვალოდიევი
ვოზლის ყვარი ცხრა, ცხრა — გვიან
გამოცხრა



- მზადაა საოპერაციოდ, გამოუჩნდა პატრონი?
- ჯერჯერობით მიქელ-გაბრიელაა მოსული.



ეს მოხდა ლონდონში. უშვილო ოჯახმა ოფიციალურად „გამოიწერა“ ნაღდი საჯიშე მამაკაცი. იმავე დღეს გვერდით მცხოვრებმა მრავალშვილიანმა ოჯახმა ფოტოგრაფი „გამოიწერა“. შემთხვევით ფოტოგრაფი უშვილო ოჯახში აღმოჩნდა და როცა სიტუაცია გამძაფრდა, გაქცევით უშველა თავს

საფსუსი

(“წინაგის

წინა ნომერში ეს დაწვრილებით იყო მოთხრობილი.

ამჯერად გთავაზობთ გაგრძელებას).

ამ დროს კიბეზე ამოდიოდა ელევანტური, ათლეტური აღნაგობის ე.წ. „სახელმწიფო მამაკაცი“. კიბის თავში მას მრავალშვილიანი ოჯახის დიასახლისი შეხვდა. იგი, ცხადია, ფოტოგრაფს ელოდებოდა.

- დილა მშვიდობისა, მისის.
- დილა მშვიდობისა, სერ.
- თქვენია ერთჯერადი გამოძახება? უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ერთი ვიზიტი საკმარისი არ არის. გირჩევთ გამოძახება ერთი კვირის შემდეგ გაიმეოროთ.

- თქვენს რჩევას გაითვალისწინებ, მაგრამ აპარატს ვერ ვხედავ.
- ო, მისის, ვაჭყობ იუმორის დიდი გრძნობა გაქვთ. აპარატი, ცხადია, თან მაქვს.

- ძალიან კარგი.

შემობრძანდით, შევედგეთ საქმეს, მე ვფიქრობ, აბაზანიდან დავიწყოთ, წყალი უკვე მოვამზადე.

- თქვენ მე სასიამოვნოდ მანკვიფრებთ, მისის.

- შემდეგ გადავალთ საბავშვო ოთახში, პატარა საწოლზე, მერე - ფანჯრის რაფაზე,



- ჩემი დედა მოვ...ან, თუ გატყუებდეს!

როიალზე და მის ქვეშ, ღამის ქოთანზე, კარადის თავზე, ტრილაჟზე...

- ო, მისის, ქედს ვხრი თქვენი გამომგონებლობის წინაშე, მაგრამ ყოველივე ამის განხორციელებას სამი გამოძახება მაინც დასჭირდება.

- სერ, თქვენ სულ რამდენიმე გამოძახებაზე ლაპარაკობთ. სპეციალისტმა, ჩემი მეგობარი ქალის ბინაში, ერთ გამოძახებაზე ყველა დაკვეთა შეასრულა- თხუთმეტი პოზა!

- მისის, მერწმუნეთ, ჩვენს ფირმაში არ გახლავთ ასეთი სპეციალისტი. ჩემთვის, ყველაზე საუკეთესოსათვის, ერთ გამოძახებაზე ექვსი პოზიცია შესაძლებლობის მაქსიმუმია.

- ალბათ, იმიტომ, რომ თქვენ ერთი აპარატით მოხვედით, იმ სპეციალისტს კი ორი ჰქონდა: ერთი ხელში ეჭირა, მეორე - მხრებზე გადადებულად.

- მისის, - ენა ჩაუვარდა საჯიშე მამაკაცს, - ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს ...

- მოვრჩეთ ხუმრობას! მაჩვენეთ თქვენი აპარატი და შევედგეთ საქმეს.

სახელმწიფო მამაკაცმა ჩვეული მოძრაობით გაიძრო ტანსაცმელი, წამიც და იგი დედიშობილა იდგა დიასახლისის წინაშე. ოთხი შვილის დედა გულწასული დაეცა.

მოისმინა ალ. ნინუამ



დაქსიკონი დაეწყაი ქურდაიხათვი

ქსიმა - საბუთი

მახანა - დედა

პახანა - მამა

ბალინა - შარული თავშესაყრელი ალგილი

სტუდენტბი - წვრილმანი ქურდახანა

ფიქსა - ოქროს (ან ვერცხლის) კბილი

ფარა - თვალი

დეტექტივის მოყვარულთა საბავშვო კლუბი




წინა წერილი განმე

ვადაცემაზე კონკურსში მონაწილე კლუბის წევრებს ჩვენ წარუდგინეთ უცხო ქვეყნიდან გამოგზავნილი ის ტექსტი. დავალბა ითვალისწინებდა წერილის შიფრის ამოცნობას. ე.ი. "გასაღების" პოვნას. ეორებით ვთავაზობთ დაშიფრული წერილის ტექსტს:


“მამო სამსუნ! მინდა გავიზიარო ჩემი შთაბეჭდილებები და აზრები, როგორც ყოველთვის, ამჟამადაც გამო-
გადგება. ქალაქი ლამაზია. ამინდებს არა უშავს. ხანდახან ოკეანიდან შემოიჭრება ხოლმე ქარიშხალი, მაგრამ არც ისე მუ-
სირებული. ჩემს საყვარელ საქმიანობას აქაც ვაგრძელებ. ყელამდე ჩაფლული ვარ ადგილობრივ მოსახლეთა პრო-
ფესიული საქმიანობის შესწავლაში. ვიკვლევ ერის ისტორიას, ზნე-ჩვეულებებს, წარსულს და აწმყოს. გავერკვეთ ამით კონ-
სტიტუციაში, საკმაოდ წარმატებულად. ერთი სიტყვით, კარგად ვარ, მაგრამ გული მაინც შინისკენ მომიწევს. მენატრება შენი ცო-
ლიკაური, ჩვენბური დროსტარება. რაც შეეხება საქმეს, გათხრების დროს მე აქ ვიპოვე ანტიკური ხანის ქანდაკების ნაწილები: ქა-
ლის კოხტა გავა და მშვენიერი მკერდი დიდი ძუბუებით. რომ ჩამოვალ, მაგ მასალას ადგილზე ჩემბურად დავამუშავებ. როგორც პედ-
აგოგი და ესთეტი, დარწმუნებული ვარ, ნანახით აღტაცებული დარჩები. კინაღამ დამავიწყდა: გუმინ ქუჩაში შემხვდა ჩვენი
ერასტი, შენც აქ უნდა იყო, ჩემო სამსუნ, რათა აქაურებს შენი მდიდარი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარო.”

სხვა რა მოგწერო. შენი შალვა



ამ წერილის შიფრი ორმოცდაშვიდმა კონკურსანტმა ამოიცნო. გაიმარჯვა, ვინც ყველაზე ადრე მოგვასწავლა სწორი პასუხი. ეს გახლავთ კოკა გვარჯალაძე, თბილისიდან. წერილის ტექსტი ასე იშიფრება: წაიკითხეთ პირველი სტრიქონი, შემდეგ გამოტოვეთ მეორე სტრიქონი და წაიკითხეთ წერილის მესამე სტრიქონი. გამოტოვეთ მეოთხე სტრიქონი და წაიკითხეთ მეხუთე სტრიქონი და ა.შ. წერილის ვკითხულობთ სტრიქონგამოტოვებით და ვიღებთ იმ ტექსტს, რაც უნდა ამოვეითხა ადრესატს. კონკურსში გამარჯვებული კოკა გვარჯალაძე, პრიზის სახით მიიღებს შოკოლადის რადიომიმღებს. ვულოცავთ. ვიხაროდენ!

დეტექტივის მოყვარულთა პრეზიდიუმი.



ერთი მაჩვენე რომელმა მოგიგო!



ნახ. ა. ერადისა

ლიტერატურული ქრონიკა

გასული წლის გასული თვის 25-ს ჩვენი გამოძიებელი იაგო ჭახაშვირიძე „თი-ბი-სი“ ბანკსა და მალაზია „ბატას“ შორის, უჩვეულოდ განათებულ დარბაზში (ი. ჭავჭავაძის 11, სადარბაზოდან მარცხნივ), წააწყდა პროფესიონალი მწერლისა და მოყვარული მხატვრის, ნუგზარ შატაიძის ლიტერატურულ საღამოს. საღამოს მოწყობაში ბრალი ედება მხატვარ თენგიზ მირზაშვილს (მეტსახელად „ჩუბჩიკა“)

შემოქმედებით საქმიანობაში ეჭვმიტანილი ნუგზარ შატაიძე, მოწმეთა ჩვენების საფუძველზე, მხილებულ იქნა როგორც პროზაიკოსი, რომლის ეჭვმიტანილ შესაძლებლობათა თვალმისაცემ გამოვლინებას მისი ვრცელი მოთხრობა „პური“ შეადგენს. ჯვარედინი დაკითხვის შემდეგ გამოძიებამ დაადგინა, რომ ნუგზარ შატაიძე ყრმობიდანვე არ ერიდებოდა მოთხრობების წერას და ეს მანვე ჩვევა მას ცხოვრების შუაგულამდე შემორჩა.

სააშკარაოზე გამოყვანილმა შატაიძემ აღიარა თავისი დანაშაული მხატვრული პროზისა და დრამატურგიის წინაშე და მსაჯულთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მას მიესაჯა თავისი საქმიანობის გაგრძელება ქართული მწერლობის შრომა-გასწორების კოლონიაში.

(მამუკა დოლიძე)



ვაჭირსებებ
ხელისაწვდ-
ომი ფასში!

ნახ. მ. აბაშიძისა

მთავარი რედაქტორი
გეგან სინარულიძე

სარედაქციო კოლეგია:
მურთაზ აბაშიძე
ჭაბუა ამირაჯიბი
ჯემალ ლოლუა (მხატვრული რედაქტორი)
ნოდარ მაღაზონია
თენგიზ მირზაშვილი (ჩუბჩიკა)

რამაზ სინარულიძე (პ.პ. შიშინა)
ლერი ჩანტლაძე (ლიტერატორი)
ჯანსუღ ჩარკვიანი
თამაზ წიგწივაძე
რეზო ჭიჭიშვილი

დიზაინი:
Promo design studio Ltd.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი,
რუსთაველის გამზ., 42.
ტელ: 931942, 934932, 995554

ქურნალი გამოდის 1923 წლის 3 ივნისიდან.
რეგისტრირებულია: ქთბილისის მთაწმინდის
რ-ნის სასამართლოს მიერ;
რეგისტრაციის № 4/4 - 1263

ფასი შეთანხმებით